# ავტობიოგრაფია

მე, მერი აბესალომის ასული აფხაზავა, დავიბადე 1937 წლის 25 მაისს ქ. თბილისში. დედა და დეიდები პედაგოგები იყვნენ და ალბათ მათმა მზრუნველობამ განსაზღვრა ჩემი მომავალი საქმიანობა. მამა, სპეციალობით ბუღალტერი, „საქწიგნის“ სისტემაში მუშაობდა.

1956 წელს დავამთავრე თბილისის 29-ე საშუალო სკოლა.

1959 წელს შევედი და 1964 წელს დავამთავრე თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1966-1967 წლებში ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში“ კორექტორისა და რედაქტორის თანამდებობაზე.

1967-1969 წლებში ნაძალადევის (იმ დროს ვ.ი.ლენინის) რაიონის სხვადასხვა სკოლაში შემცვლელ მასწავლებლად ვიმუშავე.

1969 წლის I-ლი სექტემბრიდან 1974 წლის იანვრამდე ვიყავი 48-ე საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 1974 წლის იანვრიდან 1975 წლის ივნისამდე – 142-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში.

სასწავლო ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში ჩემი მოსწავლეების აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს განათლების სამინისტრომ „სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის“ 1973 წელს „სახალხო განათლების წარჩინებული“ სამკერდე ნიშნით დამაჯილდოვა.

1975-1991 წლებში ვხელმძღვანელობდი ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მუშაობას გამგის თანამდებობაზე, სადაც 1984 წელს ჩატარებულ მეთოდური კაბინეტების მუშაობის მეჩხოვის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში პირველი ადგილი მოვიპოვეთ, ხოლო 1987 წელს „სახალხო განათლების დარგში განსაკუთრებული წარმატებისათვის“ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და პროფესიული კავშირის „საპატიო სიგელი“ მივიღე.

ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს, რომლებიც სხვადასხვა დროს პრესაში ქვეყნდებოდა, ცნობილი მომღერლები მღეროდნენ კიდეც. ლექსების ნაწილი დაიბეჭდა ჩვენი ქალაქის „შემოქმედ პედაგოგთა კრებულში“, რომელიც 2004 წელს პედაგოგთა ინოვაციის ცენტრმა გამოსცა.

1991 [illegible]

1991 წლიდან 2005 წლის სექტემბრამდე ვიყავი 149-ე საჯარო სკოლის დირექტორი, სადაც 1995 წელს პედაგოგთა ჯგუფთან ერთად დავაფუძნე საერო სკოლა-გიმნაზია „გორდა". 2006 წლიდან ~~ვარ~~ ამ სკოლის დირექტორი.

1997 წელს ატესტაციის გავლის შედეგად მივიღე მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის „უმაღლესი" კატეგორია.

1999 წელს გამარჯვებული ვარ საქალაქო კონკურსის ნომინაციაში „ნოვატორი ხელმძღვანელი".

2001 წელს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგთა კავშირმა „განათლების სისტემის განვითარებისა და სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის" იაკობ გოგებაშვილის მედლით დამაჯილდოვა, რომელიც პედაგოგისათვის ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმაჩნია.

მაქვს სერთიფიკატები:

1. საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის –

„სკოლა – როგორც საზოგადოების მინი-მოდელი" - 2002 წ.

2. „განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) –

„სკოლების მიკროდაგეგმარებისა და დარუქების ზოგადი მიმოხილვა" - 2004 წ.

3. ასოციაცია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოება" მიერ –

„კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის" – 2005 წ.

4. ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტი – საქართველოს" მიერ –

„სკოლის ეკონომიკა და მენეჯმენტი" – 2005 წ.

. . .

მყავს ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ~~ერთი~~ შვილთაშვილი.

მეუღლე – მწერალი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი ნუგზარ აფხაზავა 2003 წელს გარდაიცვალა.

ჩემი მისამართია: თემქ-ის XI მ/რ-ნი, მე-2 კვ. 28-ა კორპუსი, ბინა 43. ტ.: 260-26-92

მობ.: 555-59-17-35.

მერი აფხაზავა

16.01.2012 წ.